



აჭარის არქივი

მაია ივანიშვილი,
საარქივო სამმართველოს უფროსი

ძვირფასო კოლეგებო,
სულმალევიზიუმით არქივისტთა პროფესიულ დღესასწაულს, არქივისტის დღეს! მინდა მოგილოცოთ ეს შესანიშნავი

პროდუქციის შექმნა და პოპულარიზაცია.

ჩვენი მისია კვლავაც რჩება დოკუმენტების მოძიება ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ, მათი კვალიფიციური ანაწერების მოზადება, დამუშავება, რომლებიც კვლავაც მოემსახურება ქვეყნის სამეცნიერო, საგანმანათლებლო, შემეცნებით ინტერესებსა და მიზანდასახულობას.

ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად კვლავ რჩება ხშირი გამოყენების შედეგად შელახული დოკუმენტების რესტავრაცია, კონსერვაცია და დიგიტალიზაცია. საქმიანობის უცვლელ პრინციპად გვესახება საზოგადოების ფართო მასების ჩართულობა არქივის ყოველდღიურ ცხოვრებაში, გამოჩენილი პირებისა თუ კერძო, საოჯახო არქივებში დაცული ნერილობითი და ფოტოდოკუმენტების თავმოყრა, მათი დაბინავება, უცხოეთის არქივებიდან საქართველოს შესახებ არსებული მასალების



ელექტრონული არქივების შემოტანის ორგანიზაცია.

ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება არსებული საკადრო და ტექნიკური რესურსების მაქსიმალური და ეფექტური გამოყენება, არქივის იმიჯსა და პრესტიჟზე მორგებული, სიახლეებსა და ინოვაციებზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება საკუთრივ არქივისა და ზოგადად ქვეყნის საკუთრივად. კვლავაც აქტუალურია საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავება, ურთიერთთანამშრომლობის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა საარქივო სამმართველოსა და უცხოეთის არქივებს შორის, არქივების საერთაშორისო ორგანიზაციაში ღირსეული ადგილის დაკვიდრება.

ელექტრონული არქივების შემოტანის ორგანიზაცია.

ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება არსებული საკადრო და ტექნიკური რესურსების მაქსიმალური და ეფექტური გამოყენება, არქივის იმიჯსა და პრესტიჟზე მორგებული, სიახლეებსა და ინოვაციებზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება საკუთრივ არქივისა და ზოგადად ქვეყნის საკუთრივად. კვლავაც აქტუალურია საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავება, ურთიერთთანამშრომლობის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა საარქივო სამმართველოსა და უცხოეთის არქივებს შორის, არქივების საერთაშორისო ორგანიზაციაში ღირსეული ადგილის დაკვიდრება.



აჭარის საარქივო სამმართველოს გააჩნია განვითარების შესანიშნავი პერსპექტივა. იგი აღჭურვილია უახლესი ტექნიკური საშუალებებით, გამოცდილი კადრებით. წინაპართა თავდაუზოგავი შრომის შედეგად არქივში თავი მოიყარა უამრავმა ფონდმა და საქმეთა ერთეულმა, დაგროვდა უზარმაზარი გამოცდილება. ასე, რომ კოლეგებო, ჩვენს წინაშე მხოლოდ ერთი არჩევანია - ჩვენი წინამორბედების მსგავსად ერთად დავდგეთ საარქივო დარგის შემდგომი განვითარებისათვის. გარნმუნებთ, შედეგებიც შესაბამისი იქნება.

ძვირფასო კოლეგებო!
ჩვენი სიძლიერე ჩვენს ერთიანობაშია. არქივისტთა პროფესიულ დღესასწაულს მიმდინარე წელს უფრო შეკრული და გაერთიანებული ვართ დღითი დღე, თქვენთან ერთად ვქმნით ახალ რეალობებს, ვამკვიდრებთ ახალ სტანდარტებს, აზროვნებას, ხედვებს. გაერთიანება, აჭარის საარქივო სამმართველო ისევ იქნება დიდი პროექტებისა და ახალი წამოწყებების ავანგარდში. ჩვენ ეროვნულ არქივთან ერთად კვლავაც გავაგრძელებთ წინსვალს. ეს ორმხრივი თანამშრომლობა გახდება ხელჩასაჭიდი მექანიზმი საარქივო დარგის შემდგომი განვითარებისათვის. ჩვენ ხელი უნდა შეუწყნოთ თანამშრომლობის ფართო რეგიონალურ და საერთაშორისო განვითარებას.

დაბეჯითებით უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. შევიძინეთ ახალი კომპიუტერული და დიგიტალიზაციისათვის სპეციფიკური ტექნიკური საშუალებები, მწყობრში ჩადგა ახალი ფონდსაცავები, გაუმჯობესდა სამუშაო გარემო. საამაყოა, რომ ამ პროცესში ხელმძღვანელობასთან ერთად ჩართულია არქივის ყველა თანამშრომელი. მინდა მადლობა ვუთხრა ყველა არქივისტს და მივულოცო არქივისტის დღე!

ძვირფასო მეგობრებო! დაე წლევანდელი არქივისტის დღე ყოფილიყო ათვლის ახალი წერტილი საარქივო დარგის შემდგომი წინსვლისა და განვითარებისა, ჩვენი პროფესიული დაოსტატებისა და ერთიანობისა. მნამს, რომ ეს ასეც იქნება.

არქივისტთა პროფესიული დღესასწაულის ისტორიისათვის

მაია რურუა



მარტის ამ პირველ დღეებში, როცა ზამთარმა ზღაზვნით, მაგრამ მაინც აიკეცა კალთა, როცა ჭირვეული მარტის მეგზურობით შემოცქრილდა გაზაფხული, საარქივო სამმართველოში ჩვენ ორ ლამაზ დღესასწაულს ვხვდებით - დედის დღესა და არქივისტის, უფრო სწორად კი საარქივო


დარგის მუშაკის დღეს. ეს დღესასწაული 1999 წლის 19 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის №19 ბრძანებულებით დაწესდა. მართალია ბრძანებულებას პრეზიდენტი აწერდა ხელს, მაგრამ მის მომზადება და პრეზიდენტისადმი მიწოდება ერთი გამორჩეული პიროვნების სახელს უკავშირდება. ის დღეს ცოცხალი აღარ არის, თავის დროზე საქართველოში არსებული უმძიმესი მდგომარეობის (90-იანი წლები) მიუხედავად შეძლო ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება საარქივო დარგის განვითარების თვალსაზრისით. სხვადასხვა ორგანიზაციების ლიკვიდაციის, შერწყმა-გაერთიანების, რეორგანიზაციის თუ ოპტიმიზაციის პროცესების მიუხედავად მაშინ, საარქივო დარგი ვითარდებოდა, ძლიერდებოდა, მუშაობის ახალ, თანამედროვე რელსებზე გადადიოდა, საზღვარგარეთის ქვეყნების არქივებთან ახალ ურთიერთობებს იწყებდა... და რაც ყველაზე მთავარია სწორედ მისი თაოსნობით შეიქმნა და 1995 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ეროვნული საარქი-

წინ, წარსულში... ახუ ძალაძის ნოვატორი მსპუკურები 117 წლის წინ

ფრიდონ ქარდავა

(საარქივო დოკუმენტი მოიძიეს მზია სურმანიძემ და ნინო გოგიტიძემ)

ყველაფერი ახალი რომ კარგად დაინწყებოდა ძველია, ეს კიდევ ერთხელ გავგახსენა საარქივო დოკუმენტებმა, სადაც საუბარია ბათუმში ველოტრეკის მოწყობაზე. ის რაც თანამედროვე პირობებში თითქოსდა სიახლედ ჩანდა, ბათუმის მესვეურებს 100 წლის წინ უკვე დაწერილი ჰქონდათ ქალაქში.



(ფოტო ბატონ შოთა გუჯაბიძის კოლექციიდან)

ეტყობა, ჩვენი წინაპრები ნამდვილად გამოირჩეოდნენ ნოვატორული სულით. ახალი ტექნოლოგიები მათთვის ბუნებრივი მოთხოვნილება იყო. ბათუმი იმთავითვე გახლდათ ევროპული ცივილიზაციის მატარებელი: 1899 წელს, 117 წლის წინ ბათუმის საკრებულო იხილავს ბათუმში

ველოტრეკის მოწყობის საკითხს, 19 მაისია, 8:30 წუთი; მეგონა ალიონი იგულისხმებოდა და მესიამონა: ვიფიქრე, ადრე დგებოდნენ ხმოსნები მაშინ და გაციკრებაზე იწყებდნენ ქალაქზე ზრუნვას

არქივისათა პროფესიული დღესასწაულის ისტორიისათვის

ვო ფონდის“ შესახებ.

მე-13 წელია საქართველოს არქივისტები ერთმანეთს ულოცავენ პროფესიულ დღესასწაულს, რომლის სულისჩამდგმელიც იყო ზურაბ მახარაძე – საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარე, კაცი საქმიანი, ზრდილი, მოზომილი, გულთბილი, მზრუნველი, იუმორით საოცარი ნიჭით დაჯილდოებული ნამდვილი ინტელიგენტი. აჭარის საარქივო დარგის მუშაკები ყოველთვის ვგრძნობდით მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და მისი სტუმრობაც ყოველთვის სასიამოვნო იყო. ღარიბები ვართ, მაგრამ მაინც საჩუქრებით ჩამოვიდოდით-გვეტყოდა ხოლმე ჩვეული იუმორით და ეს საჩუქარი სხვა არაფერი იყო თუ არა გაახლებული საარქივო წესები, ინსტრუქციები, მთავრობის ახალი დადგენილებები, პრეზიდენტის განკარგულებები თანამშრომელთა სახელმწიფო ჯილდოებით თუ საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ. სამწუხაროა, რომ იმხანად ჩვენთან შექმნილი სიტუაციის გამო ბ-ნი ზურაბი ვერ გავაცვილეთ უკანასკნელ გზაზე, რომ უამრავ თაიგულს შორის არ იყო თაიგული წარწერით: „აჭარის მადლიერი არქივისტებისაგან“.

1999 წელს საარქივო დარგის მუშაკის დღის დანახებასთან დაკავშირებით ბატონმა ზურაბ მახარაძემ უამრავი მილოცვები მიიღო, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოვყოფდი არქივისტთა საერთაშორისო საბჭოს გენერალური მდივნის ყოფილ ვან ალბადას მილოცვის ბარათს:

„საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ მახარაძეს,

გთხოვთ მიიღოთ ჩემი საუკეთესო სურვილები საქართველოს საარქივო დარგის მუშაკის დღესთან დაკავშირებით. ვიმედოვნებ, რომ ურთიერთთანამშრომლობა საქართველოს არქივებსა და არქივისტთა საერთაშორისო საბჭოს შორის იქნება ნაყოფიერი და ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს არქივისტთა საერთაშორისო ფორუმზე“.

ულრმესი პატივისცემით ყოფილ ვან ალბადა - არქივისტთა საერთაშორისო საბჭოს გენერალური მდივანი (საისტორიო მოამბე №71-72; 1998-1999წწ. ფურც. 11).

პროფესიულ დღესასწაულს ერთი განსაკუთრებული ახასიათებს. ეს დღე მხოლოდ ერთი პროფესიის ადამიანებს ეკუთვნის. საარქივო დარგის მუშაკის დღის დანახება აღიარება იმ საქმის უდიდესი მნიშვნელობისა, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით. ეს დღე საარქივო დარგის ყველა თაობას ერთნაირად ეკუთვნის.

ძვირფასო კოლეგებო, არქივისტებო და არქივებთან დამეგობრებულ მკითხველო!

გილოცავთ საარქივო დარგის მუშაკის პროფესიულ დღესასწაულს. გისურვებთ ყოველივე კარგს და მჯერა, სანამ ქვეყნად იარსებებს არქივის მიერ შესანახი და საპატრონო თუნდაც ერთი ფარატირა ქალაქი, ჩვენს საქმიანობას დავინწყება არ უნერია, რადგან სწორედ არქივებში ინახება და არქივებშია საიმედოდ დაცული ერის გონი და სიბრძნე.

ინოვაციური მიდობები დასახედი ამოსანების ბანსახოხსიეიეიეიე

მადონა ცხადაძე

საარქივო სამმართველოში დაცული წერილობითი დოკუმენტების, კინო, ფოტო, ფონო, ვიდეო მასალების, რუკების, სამშენებლო პროექტების, ისტორიული მნიშვნელობის ძეგლების დიგიტალიზაციის მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლების 2010 წლის 10 აპრილი გადაწყვეტილების შესაბამისად ჩამოყალიბდა „საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განყოფილება“. ახლადჩამოყალიბებულ სტრუქტურულ ერთეულს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი არქივისტი მადონა ცხადაძე.

ახლაგზრდა განყოფილებამ ჩამოყალიბებისთანავე, USAID-ის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში, დაიწყო აქტიური მუშაობა კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დაწესებულების წინაშე მდგარი მეტად საპასუხისმგებლო ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი საქართველოში ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროგრამული ბიუჯეტირების პროექტს. ამ მიზნით, 2013 წ. 13 სექტემბერს საარქივო სამმართველოში შედგა სამუშაო შეხვედრა არქივის თანამშრომლებსა და საკონსულტაციო კომპანიის ექსპერტებს შორის, სადაც განიხილეს მომდევნო წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა დაჩქარებულ ვადებში საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას. უპირველესი ამოცანა იყო ხშირი გამოყენებისაგან გაცრეცილი და დაზიანებული დოკუმენტების დაცვა, სარეზერვო ფონდის შექმნა და შემდგომში სწრაფი ინტერნეტმომსახურება.

განყოფილების თანამშრომელთა დაუღალავი შრომის შედეგად შესაძლებელი გახდა მუდმივ შენახვას დაქვემდებარებული დოკუმენტების (გარდა პირადი ინფორმაციის შემცველი საიდუმლო დოკუმენტებისა) დიგიტალიზაცია. 2015 წლის პირველ ხუთ თვეში დასკანერდა: 512 441 ფაილი, რედაქტირება გაუკეთდა 508 734 ფაილს, პროგრამაში აიტვირთა 4 ფონდის შვიდი ალწერა და 5635 საქმეთა ერთეული.

საერთაშორისო ურთიერთობების განმკიცხებით ავალღება საარქივო სამმართველოს ცნობადობა

თამაზ ფუტყარაძე, ნატო ქიქვაძე

საარქივო სამმართველოს საქმიანობა დატვირთულია საინტერესო, მეტად მნიშვნელოვანი და სპეციფიკური საქმიანობით, სამეცნიერო და დოკუმენტდაცვითი პროექტების განხორციელებით, საარქივო მასალების რესტავრაციის, კონსერვაციის და დიგიტალიზაციის სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით, დოკუმენტების გამოყენებითა და პუბლიკაციებით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით და საერთაშორისო კონტაქტების დამყარებით ხდება საარქივო სამმართველოს ცნობადობის ამაღლება.

იმის გათვალისწინებით, რომ საარქივო დოკუმენტების არც თუ ისე უმნიშვნელო ნაწილი შელახულია და მათი ხშირი გამოყენებით საფრთხე ექმნება მის არსებობას, ჩვენმა ორგანიზაციამ მხარი აუბა დოკუმენტების რესტავრაცია-კონსერვაცია-დიგიტალიზაციის გლობალურ სტრატეგიას და შეეცადა თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში.

2016 წლის იანვრის მონაცემებით საარქივო სამმართველოში შეიქმნა: აჭარის მინისტრთა საბჭოს (ფონდი რ-2), სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის (ფონდი რ-6), ბათუმის საკრებულოს (ფონდი რ-

სწრაფად და ხარისხიანად მიიღოს დოკუმენტის ელექტრონული ასლები როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

განყოფილებაში დღესათვის



655); აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს (ფონდი რ-631), აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის (ფონდი რ-633) ფონდებიდან 1 148 961 გვერდის ციფრული ასლი.

ელექტრონული ფაილები თავს იყრის და ინახება არქივების საერთაშორისო საბჭოს (ICA) მიერ შემუშავებულ სპეციალურ პროგრამაში (ATOM) და სრულად შეესაბამება აღწერის საერთაშორისო სტანდარტებს. თითოეულ დოკუმენტს თან ერთვის აღწერილობა, ტექნიკური მახასიათებლები (შექმნის თარიღი, ქალაქის სახეობა და სხვა) და მოკლე ანოტაცია.

პროგრამა უზრუნველყოფს აღნიშნული მახასიათებლების მიხედვით უმოკლეს დროში დოკუმენტების მოძიებას. პერსპექტივაში, ნებისმიერ მოქალაქეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შესაძლებლობა ექნება სპეციალური საძიებო კატალოგის გამოყენებით სახლიდან გაუსვლელად მოიძიოს მისთვის საინტერესო დოკუმენტი, გაცენოს მის აღწერილობას,

დასაქმებულია 23 თანამშრომელი: მადონა ცხადაძე, დავით ხალვაში, ქეთევან ხალვაში, მზია ჯღარკავა, ირმა ყყოიძე, მანია ბლადაძე, ნათელა ჯაფარიძე, ხათუნა დიასამიძე, დიანა ლლონტი, ნათია ბერიძე, თამილა ხალვაში, ინგა ზუჭუა, ანაიდა კარაპეტიაი, ლედი დიასამიძე, ნაირა ქიქვაძე, ლია გიგაური, შორენა კონცელიძე, მარიამ ჩაველიშვილი, გიორგი გოზალიშვილი, ნათია კახიძე, ია ხავთასი, ნაილე ფუტყარაძე, ირინა კახალიძე.

ბოლო პერიოდში დიგიტალიზაციის პროცესი დაიწყო საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ არქივებში (რაიონული არქივები). ახლდაყვანილი თანამშრომლები დიგიტალიზაციასთან დაკავშირებულ პროფესიულ ჩვენებს ეუფლებიან საარქივო სამმართველოს ცენტრალურ ოფისში.

ქალაქის ფუძიანი დოკუმენტების ციფრულ მატარებლებზე გადატანით საქართველოში მომავლის არქივი იქმნება, რომელიც მხარს აუბამს მსოფლიო გლობალიზაციის ტემპებს.

რანდუმით განმტკიცდა აჭარის საარქივო სამმართველოს ურთიერთობა ბლაგოევგრადის (ბულგარეთი) სამხარეო და სოფიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებთან, ასევე ბულგარეთის კირილესა და მეთოდეს სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან. აღნიშნული დაწესებულებებიდან შემოტანილი იქნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ იქ დაცული ოსმალური დოკუმენტების ელექტრონული არქივი, ასევე დოკუმენტური მასალებისა და პეტრინონის მონასტრის ტიპიკონის ქსეროასლები.

უცხოეთის არქივებთან ჩვენი აქტიური თანამშრომლობის ნათელი გამოხატულებაა გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებიდან ჰუგო შუხარტის ფონდში დაცული VII-XI საუკუნეების ქართული ხელნაწერების, ხანმეტი ლექციონარის ელექტრონული არქივის შემოტანა (900 ფურცელი). მოგვიანებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა შტირიის მინის რეგიონალურ არქივთანაც.

აჭარის საარქივო სამმართველოს საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებისათვის მუშაობა კვლავაც გრძელდება. დაგეგმილია კონტაქტების დამყარება უკრაინისა და პოლონეთის არქივებთანაც.

ურთიერთთანამშრომლობის მემო-

წინ, წარსულში...

ანუ ძალადის ნოვატორი მსკეპრები 117 წლის წინ



მეთქი, მაგრამ საღამო აღმოჩნდა. მაისი იყო, გამოიღარა ალბათ ბათუმში და ველოსიპედებზე ფიქრი ამითაც იყო ეტყობა გამონვეული. (ასსცსა, ფ. ი-7, ს. 320, ფურც.13,14):

სხდომაზე განიხილეს ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოების განცხადება მათთვის არენდით ქალაქის საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე, ბულვარში, კეგელ ბანსა (ბოულინგის ნაირსახეობა) და მუსიკის პავილიონს შორის (დღევანდელ ნოდარ დუმბაძისა და გიორგი მაზნიაშვილის ქუჩებს შორის):

„ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოების სამმართველომ 11 მაისის სხდომაზე დაადგინა: ეთხოვოს ბათუ-

2.საზოგადოება ვალდებულებას იღებს ამ ნაკვეთზე ყოველგვარი მშენებლობა შეათანხმოს ქალაქის მმართველობასთან, ამასთანავე ვალდებულებას იღებს არ დაფაროს თავისი ნაგებობებით ბულვარის ხეივანი და ზღვის ხედი.

3.ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, კეთილმოწყობილი ველობილიკი ასევე ყოველგვარი შენობები ამ მონაკვეთზე გადავა ქალაქის საკუთრებაში ყოველგვარი სასყიდელის გარეშე.

4.ნაკვეთის სარგებლობისთვის ვალდებულებას იღებს საზოგადოება ქალქს გადაუხადოს ყოველწლიურად საიჯარო გადასახადი, პირველ ორ წელიწადს - 5 კაპიკი თითოეულ კვადრატულ საუენზე, ხოლო დანარჩენ პერიოდში - 10 კაპიკი ყოველ კვადრატულ საუენზე.

5.სამმართველომ საზოგადოების თავმჯდომარე პ.უ. სტივენსი აღჭურვა უფლებამოსილებით და თხოვა მისცეს სათათბიროს ყოველგვარი ახსნა-განმარტება ამ საქმესთან დაკავშირებით, ამასთანავე საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს და განავითაროს ამ განცხადების პირობები.”

მაშინდელი მოღვაწეების შესაშური კეთილსინდისიერება აღაფრთოვანებს თანამედროვე ადამიანს. სამაგალითოა საზოგადოების პასუხისმგებლობა და რედუნება, რომელიც მათი ყოველი სიტყვიდან გადმოსჭვივის; მისაბაძია მათი დამოკიდებულება ბულვარისა და მთლიანად ქალაქის არქიტექტურისადმი.


ახლა კი ისევ მიყვებით სხდომის მსვლელობას: ხმოსან თარუმოვს არაფერი აქვს სანინალმდეგო ნაკვეთის გადაცემასთან დაკავშირებით, თუმცა ზღვის ხედის დაფარვის საშიშროებისაგან თავის დასაზღვევად მოითხოვს, რომ ამ ნაკვეთზე მშენებლობები არ გახორციელდეს.

სხდომის ოქმიდან თითქოსდა ცხადვით გრძნობ მაშინდელი ხმოსნების ნუხილსა და თანამოზიარე ხედები იმაზე ფიქრისა, რომ ზღვის ხედი და აქედან გამომდინარე ჰავა თანაბრად მიენოდებოდეს ქალაქს და არამარტო სანაპიროებზე წამოჭიმულ ცათამბრჯენებს. თარუმოვი ასევე ითხოვს რომ საზოგადოებამ თავს იდოს ვალდებულება პირველსავე მოთხოვნისთანავე გაასუფთავოს ნაკვეთი.

ხმოსანი პალმი ამბობს, რომ შენობა-ნაგებობებს საზოგადოება გეგმავს კეგელ ბანის გადაღმა და ხედს არ დაფარავს. იგი მხარს უჭერს თარუმოვის წინადადებას საზოგადოებიდან საიჯარო გადასახადის ამოღების გარეშე.

ხმოსანი ბოგოსლავსკი სთავაზობს საზოგადოებას გამოეყოს ნაკვეთი ბულვარის მეორე ბოლოში, რაც გამოიწვევს ბულვარში მოსეირნეთა მიზიდვას ამ მმართველობით, რაც ბულვარის ამ ნაწილის განვითარებას (ათვისებას, გაკულტურებას) გამოიწვევს. ასეთ შემთხვევაში საიჯარო გადასახადს არ დაუწუნებდითო. ხმოსანი თარუმოვი ეწინააღმდეგება ამ წინადადებას. მისი აზრით ასეთი მიდგომა გამოიწვევს მოსეირნეთა მიზიდვას ბულვარის ამ მხარეში, თანაც იმ ადგილას ქალთა საბანაო ადგილიაო.

მოკლედ, ბათუმის სათათბირომ 38 ხმოსნის შემადგენლობით, 19 მაისის სხდომაზე მოისმინა წინადადება და დაადგინა: პატივი სცენ, ბათუმის მოყვარულ ველოსიპედისტთა საზოგადოების შუამდგომლობას და გამოეყონ მას იჯაროთ ჯერაც აუთვისებელი მონაკვეთი ბათუმის ბულვარში კეგელბანსა და მუსიკის პავილიონს შორის საზოგადოების მიერ განცხადებაში მოყვანილი ვადითა და პირობებით: ვფიქრობ, ეს დოკუმენტები მნიშვნელოვანი და საინტერესოა არა მარტო



ძველი ბათუმის კვლევისა და შესწავლის თვალსაზრისით, არამედ იმ მართლაც და იშვიათი კეთილსინდისიერი, მზრუნველი და პატრიოტული დამოკიდებულებითაც, რასაც მაშინ ამჟღავნებდნენ როგორც ბათუმის მესვეურნი, ქალაქის ბედით დაინტერესებული მმართველნი და საქმოსანი ადამიანები. მათი დამოკიდებულება არის ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება აკეთო ბიზნესი ისე, რომ არ დააზიანო და გაყვლიფო შენი ქალაქი, იფიქრო მის მკვიდრთა ან მყოფე და მომავალზე.



მის ქალაქის გამგეობას საზოგადოებისთვის ზღვისპირის ნაწილის, ბულვარის პარალელურად, კეგელ ბანიდან მუსიკის პავილიონამდე ათი წლის ვადით გადაცემის თაობაზე, შემდგომი პირობებით:

1. მოცემულ ნაკვეთზე საზოგადოება მართავს ველოსეირნობებსა და მარულებს, ყოველგვარ შესაძლებელ თამაშებს (კროკეტს, სერსო, ლაუნ ტენისს (მინდვრის ჩოგბურთი) და ა.შ.

ღოხაქენსების ხანსაჰასიისა და მიხომოფიციის ბანყოფილება

მზექალა გირიხიდი (დოკუმენტების მეორე სიცოცხლე)

აჭარაში საარქივო დანესებულების დაარსების პირველი დღიდანვე არქივისტთა მთავარ ამოცანას ცალკეულ უწყებებში უსისტემოდ გაბნეული საარქივო დოკუმენტების თავმოყრა და შენახვა წარმოადგენდა. იმ დროისთვის საარქივო საქმეთა გამოყენება სამეცნიერო მიზანდასახულობით ნაკლებად ხდებოდა, ამიტომ არც იდგა დღის წესრიგში დოკუმენტების აღდგენა, რესტავრაცია. შემდგომში არქივში დაცული მასალები სამეცნიერო ბრუნვაში მოექცა, რამაც განაპირობა საარქივო დოკუმენტების რესტავრაციის, აღდგენის, განახლების საჭიროება. 1995 წლამდე დოკუმენტების რესტავრაცია ევალებოდა ცენტრალური არქივის ესფ-ის დაცვის უზრუნველყოფის განყოფილებას.

1996 წლის 29 იანვრის სამთავრობო დადგენილებით დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის განყოფილება გარდაიქმნა აჭარის არ სახელმწიფო საარქი-

ვო დეპარტამენტის დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკურ ლაბორატორიადა. პირველ ხანებში ლაბორატორია ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შემდგომ კი თანათანობით უნდა გადასულიყო თვითდაფინანსებაზე.

ლაბორატორიის ჩამოყალიბებისთანავე საარქივო დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად. შექმნილი იქნა ტექსტების აღმდგენი აპარატი, სადებიზფექციო კამერა, კომპიუტერები, გასამრავლებელი აპარატი, ვიდეო, ტელე და ფოტოაპარატურა.

ლაბორატორიის შექმნიდან ყოველწლიურად საშუალოდ 3 000 საქმის რესტავრაცია და აღდგენა ხდება. გეგმები ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება. ამ სამუშაოთა დასრულების შემდეგ ქალაქის ფუძიანი დოკუმენტების გამოყ-

ენების საჭიროება აღარ იქნება. ეს ხელს შეუწყობს საქმეთა შენახვის ვადების კიდევ უფრო გახანგრძლივებას, მათ ხარისხიანად შენახვას.

ბოლო წლებში არა ერთი ღონისძიება გატარდა არქივში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისთვის, ზოგადად სამმართველოში მათ შორის ლაბორატორიაშიც, თუმცა გადასაწყვეტია არქივისტების შრომის პირობების დაცვისა და ჯანმრთელობის პირობების დაცვის ზოგიერთი საკითხი.

საარქივო ფონდების საქმეთა დიგიტალიზაციისათვის მომზადებამ გაააორმაგა ჩვენი განყოფილების მუშაკთა დატვირთვა. მარტო 2015 წელს მარტივი რესტავრაცია შეადგინდა 24017 ფურცელს, ნაცვლად გეგმიური 15000- ფურცლისა.

არქივი ხდება ქვეყნის წარსულსა და მომავალს შორის გადებული ისტორია არ დაივიწყებს მათ, ვინც მისი ბურჯის გამაგრებას ხელს შეუწყობს. ლაბორატორია სწორედ ამ ამოცანების განხორციელებას ემსახურება.

ქართული ხელნაწიები ბრახში

თამაზ ფუტყარაძე

გრაჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა დეპარტამენტში დაცულია 7 უნიკალური ქართული ხელნაწერი, რომლებიც თარიღდება VII-XI საუკუნეებით. ერთ-ერთი მათგანი, VII საუკუნით დათარიღებული ქართული ლექციონალი ბიბლიოთეკის მშვენებაა, რადგან იგი არის ყველაზე ძველი ხელნაწერი გრაჯის დაცულ ხელნაწერებს შორის. მათ არაერთი ქართველი და უცხოელი მკვლევარის ყურადღება მიუპყრია. მათი ისტორია ცნობილი ქართველოლოგის, გრაჯის უნივერსიტეტის პროფესორის ჭუგო შუხარათის სახელს უკავშირდება, რომელიც 1880-იან წლებში დაინტერესდა ქართული, დაამყარა სამეცნიერო კონტაქტები ქართველ მეცნიერებთან და საზოგადო მოგვანებთან: ილია ჭავჭავაძესთან, პეტრე მელიქიშვილთან, ნიკო მართან, ალექსანდრე ცაგარელთან, დავით სარაჯიშვილთან და სხვებთან. შუხარათს ორ ათეულამდე გამოკვლევა აქვს საქართველოს შესახებ. სწორედ ქართულისადმი მისმა დიდმა სიმპათიამ გადაარჩინა ეს უნიკალური ძეგლები, რომელიც ვიღაც გადაწყვიტვლის ხელში იყო მოხვედრილი. ქართულმა საზოგადოებამ გრაჯის დაცული ქართული ხელნაწერები აკაკი შანიძისაგან შეიქმნა. ეს ხელნაწერები 1883 წელს სინას მონასტერში უნახავს პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს, მაგრამ 1902 წელს ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილს ეს ხელნაწერი ადგილზე აღარ დახვედრიათ. ძნელია იმის თქმა, ვინ და როდის გაიტანა მონასტრის საცავიდან ეს დოკუმენტები. ავსტრიელი მხატვარის ალფონს მილიხის თქმით 1894 წლისათვის ამ ხელნაწერების ხელში ჩასაგდებად ნამდვილი ომი გაიმართაო. თუმცა საბოლოოდ იგი მაინც მილიხის ხელში აღმოჩნდა. იგი დილეტანტი იყო, მაგრამ ეს ხელნაწერები გარეგნული სილამაზის გამო გამოუსტაცუნია კონკურენტებისათვის. საერთოდ მილიხი ანტიკვარული ნივთების და ძველი ხელნაწერების ვაჭრობით ირჩენდა თავს. 1896 წელს მილიხმა აღნიშნული კოლექცია შესთავაზა ვენის ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკის დირექტორმა ცაისბერგმა შუხარათს თხოვა დახმარება, რათა გაეგო ხელნაწერების შინაარსი და 4 ხელნაწერი გადაუგზავნა. აღმოჩნდა, რომ ხელნაწერები სინას მთის ეკატერინეს მონასტრის კუთვნილება იყო. ცაისბერგმა მილიხს მოთხოვა ხელნაწერების ფლობის დამადასტურებელი საბუთი, რაც მილიხს არ გააჩნდა. ცაისბერგმა ვერ გაბედა აღნიშნული ხელნაწერების მიღება, რისთვისაც ის მკაცრად გააკრიტიკა ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა იაგინმა: "მე არ მესმის ბიბლიოთეკის დირექტორისა, ასე რომ მოქცეულიყვნენ, ევროპის ძალიან ცოტა ბიბლიოთეკას ექნებოდა მათი ახლანდელი განძიო". მილიხს შეეშინდა - ხელნაწერების დაკარგვისა, რადგან მას სამართალდამცველებიც დაემუქრნენ და ხანგძლივი ვაჭრობის შემდეგ იგი მიყიდა ჭუგო შუხარათს (დაახლოებით 500 გულდენად). ეს იმ-იტომაც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ძვირადღირებული ხელნაწერების შესყიდვა, შუხარათმა კი აღნიშნული ხელნაწერების საფასური საკუთარი ჯიბიდან გადაიხადა და ბინა დაუდო გრაჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში.



